საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№266/7

2019 წელი, 30 მაისი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრების მერაბ ქვარაიას, პაატა მხეიძის, გოგა გულორდავას, კობა ლურსმანაშვილის, ზაქარია ქუცნაშვილის, რატი იონათამიშვილის, გიორგი მოსიძის, გიორგი კოპაძის, დიმიტრი მხეიძის და ცოტნე ზურაბიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „სოციალური მეწარმეობის შესახებ", „გრანტების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე", „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (N07-3/236; 01.11.2018) საქართველოს კანონის პროექტების I მოსმენით განხილვის ვადა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს (წამყვანი კომიტეტი) 2019 წლის 28 მაისიდან გაუგრძელდეს ერთი თვით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
პირველი მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — თამარ ჩუგოშვილი